INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: **"LAW AND WORLD"**
December 2020 (№15). Volume 6; Issue 2; Page No. 84-96
https://doi.org/10.36475/6.2.9
www.lawandworld.ge
ISSN: 2346-7916 (Print); ISSN: 2587-5043 (Online)



Problematic issues of qualifying criminal omissions

Tatia Dolidze
PhD, Associated professor at the European University

ABSTRACT

Criminal code of Georgia (7th article) defines crime. According to this article main element of a crime is an action. Action is also the first and the most important element of actus reus in Georgian criminal law. In this case, action includes not only criminal activity, but also criminal inaction. According to Georgian criminal law, there are two forms of inaction: typical inaction and mixed inaction. Mixed inaction is much more serious crime than typical inaction. While qualifying inaction the most important issue is the obligation on action, whether it was because of profession, previous action or special relations with the victim.

The research includes detailed review of Georgian criminal law in the field of qualification of criminal inaction. Georgia belongs to continental law system. There is big difference in this field between continental law system and common law system. In continental criminal law system, every type of inaction is a crime, while in common law system, typical inactions, like leaving person without help in danger, is not a crime. Main aim of criminal law is to avoid harm of such values like life, freedom etc. That's why it is important to prevent such harms. The research includes analyzing of this differences.

The most important issue while qualification of inaction is practice of Georgian Supreme Court. So, the research includes detailed review of Georgian Supreme Court decisions in this field.

To sum up, the research includes following issues: Theoretical research on qualification of inaction, practical recommendations, review of Georgian Supreme Court practice, specifics of common law countries.

KEYWORDS: Crime, Duty, Court

BIBLIOGRAPHY:

1. Constitution of Georgia, Legislative herald of Georgia (Georgian)
2. Samaha J., 2017. Criminal law, United States of America. (English)
3. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., 2011. Commentaries on specific part of criminal law, Book N1, fourth edition, Meridiani, Tbilisi. (Georgian)
4. Ashworth A. Horder J., 2017. Principles of criminal law, Seventh edition, Oxford. (English)
5. Bentham J., 2011. An introduction to the principles of morals and legislation. Bottom of the Hill Publishing, NY. (English)
6. Bentham J., 2011. Of the Limits of the Penal Branch of Jurisprudence. Bottom of the Hill Publishing, NY. (English)
7. Beccaria C., 2013. An Essey on crimes and punishment. The Classics us. (English)

NOTES:

1. Donjashvili T., 2002, Georgian criminal law, General part, Tbilisi, p.114-116. (In Georgian)
2. Mchedlishvili K.,2011. Criminal law, General part II, various forms of demonstrating crime (crime preparation,

criminal attempt, complicity, inaction, collision), Meridiani, Tbilisi, p. 282-283. (In Georgian)
3. Criminal code of Georgia, legislative herald of Georgia, official web site: www.matsne.gov,.ge (Geo)
4. Turava M., 2013. General part of criminal law, ninth edition, Meridiani, Tbilisi, p. 274-275. (In Georgian)
5. Veselsi I., Biolke V., 2010, General part of criminal law, crime and its construction, Tbilisi University edition, p. 241 (Geo)
6. Criminal code of Georgia, legislative herald of Georgia, official web site: www.matsne.gov,.ge (Geo)
7. Gamkrelidze O., 2005, commentaries on Georgian criminal code, Tbilisi, p. 80. (In Georgian)
8. Donjashvili T., 2002, Georgian criminal law, General part, Tbilisi, p.114-116. (In Georgian)
9. Criminal code of Georgia, legislative herald of Georgia, official web site: www.matsne.gov,.ge (Geo)
10. Turava M., 2013. General part of criminal law, ninth edition, Meridiani, Tbilisi, p. 276. (In Georgian)
11. Mchedlishvili K.,2011. Criminal law, General part II, various forms of demonstrating crime (crime preparation, criminal attempt, complicity, inaction, collision), Meridiani, Tbilisi, p. 286. (In Georgian)
12. Mchedlishvili K.,2011. Criminal law, General part II, various forms of demonstrating crime (crime preparation, criminal attempt, complicity, inaction, collision), Meridiani, Tbilisi, p. 286. (In Georgian)
13. Turava M., 2013. General part of criminal law, ninth edition, Meridiani, Tbilisi, p. 276. (In Georgian)
14. Mchedlishvili K.,2011. Criminal law, General part II, various forms of demonstrating crime (crime preparation, criminal attempt, complicity, inaction, collision), Meridiani, Tbilisi, p. 283-284. (In Georgian)
15. Mchedlishvili K.,2011. Criminal law, General part II, various forms of demonstrating crime (crime preparation, criminal attempt, complicity, inaction, collision), Meridiani, Tbilisi, p. 283-284. (In Georgian)
16. Schonke/Schroder-Stree, vor §13/Rn.159. (In German);
17. Freeman S., 2005. Criminal liability and the duty to aid distressed, University of Pennsylvania law review, Vol. 142, p.1455. (In English)
18. Freeman S., 2005. Criminal liability and the duty to aid distressed, University of Pennsylvania law review, Vol. 142. P. 1994. (In English)
19. Freeman S., 2005. Criminal liability and the duty to aid distressed, University of Pennsylvania law review, Vol. 142. P. 1996. (In English)
20. Peterson M., at Carrington, Coleman, Sloman & Sloman & Blumenthal LLP, Good Samaritan Laws, a comparative study of laws that protect first responders whi assist accident victims, p.5. (In English)
21. Peterson M., at Carrington, Coleman, Sloman & Sloman & Blumenthal LLP, Good Samaritan Laws, a comparative study of laws that protect first responders whi assist accident victims, p.5. (In English)
22. Supreme court of Georgia, Criminal law chamber, judges: M. Turava, T. Laliashvili, T Gogelia, 2003 year, 16 October, case N216-Ap, p. 1-2. (In English)
23. Supreme court of Georgia, Criminal law chamber, judges: M. Turava, T. Laliashvili, T Gogelia, 2003 year, 16 October, case N216-Ap, p. 4-5. (In English)
24. Supreme court of Georgia, Criminal law chamber, judges: M. Turava, T. Laliashvili, T Gogelia, 2003 year, 16 October, case N216-Ap, p.5. (In English)

უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემატური საკითხები

თათია დოლიძე

სამართლის დოქტორი

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: დანაშაული, მოვალეობა, სასამართლო

თანამედროვე სისხლის სამართლის თეორია დანაშაულის გამოვლინების რამდენიმე ფორმას იცნობს. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმებიდან ერთ-ერთი ფორმაა უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები. სისხლის სამართლის თეორიაში განვითარებული მოსაზრების თანახმად, დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით – პასიური მოქმედებით.[1] ისიც აღსანიშნავია რომ იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ უმოქმედობით ჩადენილი

1 დონჯაშვილი თ., 2002. საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, გვ. 114-116.

დანაშაულის სხვადასხვა ფორმას. თუმცა, ცალკეულ შემთხვევათა კვალიფიკაციისას საკმაოდ ძნელი ხდება უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დანაშაულის გამიჯვნა საფრთხის შემქმნელი დელიქტებისაგან. საინტერესოა ისიც რომ კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებს შორის აბსოლუტურად კონტრასტული მიდგომაა უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულების დასჯადობაზე.

ქართული სისხლის სამართალი, უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებად განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი საკუთარი უმოქმედობით ახორციელებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის რომელიმე შემადგენლობას. განასხვავებენ უმოქმედობის ორ ძირითად სახეს: წმინდა და შერეულ უმოქმედობას.[2] ასეთი კლასიფიკაცია პირველ რიგში ქართული კოდექსის მიდგომას ეყრდნობა. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმები პირობითად შესაძლოა ორ ჯგუფად დაიყოს:

- ნორმები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში მოითხოვენ პირისაგან აქტიურ მოქმედებას და ასეთი ნორმებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, შესრულებულია კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ცალკეული მუხლის შემადგენლობა. მაგალითად, სსკ-ის 129 მუხლი აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დაუხმარებლობისათვის, ეს მუხლი ადგენს: „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, აგრეთვე დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა სათანადო დაწესებულებისათვის ან პირისათვის."[3] ამ ტიპის დანაშაულების შემადგენლობის შესრულება ყოველთვის პირის პასიურ მოქმედებასთან ე.ი. უმოქმედობასთან არის დაკავშირებული.
- ნორმები, რომლებიც შეიცავენ პირდაპირ აკრძალვებს. ასეთი ქმედებები შესაძლებელია ჩადენილ იქნას, როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. მაგალითად, სსკ-ის 108 მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა შესაძლებელია ჩადენილ იქნას, როგორც მოქმედებით ისე უმოქმედობით, განსხვავებით თუნდაც ზემოთ განხილული დაუხმარებლობისაგან რომლის მოქმედებით ჩადენა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ზემოთ მოყვანილი, დიფერენცირების ადექვატურად, განასხვავებენ უმოქმედობის ორ ძირითად ფორმას:

25. წმინდა უმოქმედობას;
26. შერეულ უმოქმედობას.[4]

წმინდა უმოქმედობის დელიქტები ის ქმედებებია, რომლებიც კონკრეტული მავალებელი ნორმის (მაგ. თუნდაც ზემოთ განხილული სსკ-ის 129 მუხლის) დარღვევით და კანონით განსაზღვრული მოქმედების განუხორციელებლობით ამოიწურება.[5] საქართველოს მოქმედი კოდექსი არაერთ ასეთ შემადგენლობას იცნობს, მაგალითად:

- განსაცდელში მიტოვება (სსკ 128 მუხლი);
- დაუხმარებლობა (სსკ 129 მუხლი);
- ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (სსკ 130 მუხლი);
- დანაშაულის შეუტყობინებლობა (სსკ 376 მუხლი).[6]

ამ ტიპის უმოქმედობა სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც მოქმედების ვალდებულება წარმოიშობა ზოგად ადამიანური ფასეულობებიდან, როდესაც მართალია არ არსებობს მოქმედების სპეციალური ვალდებულება, მაგრამ მოქმედების ზოგადი ვალდებულება ყველა ადამიანისთვის სავალდებულოა.[7]

სრულიად განსხვავებული შემთხვევაა შერეული უმოქმედობა. უმოქმედობის ამ ფორმის სახელწოდება – შერეული გამომდინარეობს მისი ორმაგი ბუნებიდან: ასეთ შემთხვევაში პირი არღვევს როგორც მავალებელ ისე ამკრძალავ ნორმას[8], არათუ არ ასრულებს ზოგად ადამია-

2 მჭედლიშვილი ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები (დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თანამონაწილეობა დანაშაულში, უმოქმედობა, კონკურენცია), მერიდიანი, თბილისი, გვ. 282-283.

3 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებ-გვერდი: www.matsne.gov,.ge

4 ტურავა მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, მერიდიანი, თბილისი გვ. 274-275.

5 ვესელსი ი., ბოილე ვ., 2010. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 421.

6 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებ-გვერდი: www.matsne.gov,.ge

7 გამყრელიძე ო., 2005. საქართველოს სისხლის სამართლისკოდექსის განმარტება, თბილისი, გვ. 80.

8 დონჯაშვილი თ., 2002. საქართველოს სისხლის სა-

ნურ მოთხოვნებს, არამედ არღვევს კოდექსით გათვალისწინებულ პირდაპირ აკრძალვას. შერეული უმოქმედობის ერთგვარ ფორმულას იძლევა სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი: „უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულოა შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული."[9] მაშასადამე, მერვე მუხლი ასახელებს იმ წინაპირობებს რომელთა არსებობაც წარმოადგენს შერეული უმოქმედობით ქმედების კვალიფიკაციის საფუძველს:

1. პირს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი გარანტის სტატუსი: გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს მოქმედების სპეციალური, პირდაპირი მოვალეობა უნდა ეკისრებოდეს;
2. პირს უნდა ჰქონდეს მოქმედების შესაძლებლობა: პირს უნდა შეეძლოს მოქმედება – ე.ი. არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული მოქმედების შესაძლებლობა;
3. პირის უმოქმედობის კავშირი შედეგთან/საფრთხის შექმნასთან: პირის მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.[10]

სუბიექტურად, შერეული უმოქმედობის დროს პირი შესაძლოა მოქმედებს განზრახ ან გაუფრთხილებლობით რაც ბუნებრივია საბოლოო ჯამში პირდაპირ აისახება ქმედების კვალიფიკაციაზე.

დანაშაულის მოქმედებით ჩადენის წინაპირობები, მკვეთრად განსხვავდება უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის წინაპირობებისაგან. მოქმედებით ჩადენილი დანაშაულის ყველა შემთხვევა დასჯადია, უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები დასჯადია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- ასეთი დანაშაულის დასჯადობა გათვალისწინებულია კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლით, მაგალითად როგორც ეს გვხვდება წმინდა უმოქმედობის დელიქტებში (სსკ 129 მუხლი, დაუხმარებლობა) ან
- ჩადენილი ქმედება აკმაყოფილებს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ წინაპირობებს – ე.ი. სახეზეა შერეული უმოქმედობა (მაგ. უმოქმედობით ჩადენილი განზრახ მკვლელობა).[11]

ვინაიდან, შერეული უმოქმედობის პირველი, ამოსავალი ნიშანია სამართლებრივი გარანტის სტატუსი, მნიშვნელოვანია განვიხილოთ რა შემთხვევაში გვაქვს ასეთ სტატუსთან საქმე. იურიდიულ ლიტერატურაში, დიფერენცირებულია ის შემთხვევები, როდესაც პირი შეიძლება მიჩნეულ იქნას სამართლებრივ გარანტად. ეს შემთხვევებია:

1. კანონმდებლობის მოთხოვნა, ახლო ნათესაური კავშირი. პროფესიული მოვალეობა. მაგალითად მშობლები ვალდებულნი არიან იზრუნონ თავიანთ შვილებზე, ექიმი ვალდებულია იზრუნოს პაციენტებზე, მაშველი ვალდებულია ზრუნავდეს დამსვენებლებზე და საჭიროების შემთხვევაში გადაარჩინოს პირი რომელიც ვერ გამოდის ნაპირზე და ა.შ.[1]
2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (მაგ. საბავშვო ბაღის გადია ვალდებულია იზრუნოს ბავშვებზე, მომვლელი ვალდებულია იზრუნოს მოხუცებულზე და ა.შ.).[12]
3. პირის წინარე მოქმედება.[13] (მაგ. ალპინისტი რომელსაც მწვერვალზე აყავს ჯგუფი ვალდებულია ზრუნავდეს ჯგუფის წევრებზე, მძღოლი რომელიც დაეჯახა ქვეითს ვალდებულია იზრუნოს ქვეითზე და გადაიყვანოს უახლოეს სამედიცინო პუნქტში და ა.შ.).

შერეული უმოქმედობით ჩადენილი დანაშაული შინაარსობრივად ისეთივე თავისებურებებით ხასიათდება, როგორც მოქმედებით ჩადენილი დანაშაული, სუბიექტურად აქაც შეიძლება გვქონდეს განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. მაგალითად, დედას დაავიწყდა ბავშვის გამოკვება, რის შედეგადაც ბავშვი გარდაიცვალა, სახეზე გვექნება გაუფრთხილებლობით სიცო-

---

მართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, გვ. 114-116.

9 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებ-გვერდი: www.matsne.gov.ge

10 ტურავა მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, მერიდიანი, თბილისი გვ. 276.

11 მჭედლიშვილი ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები (დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თანამონაწილეობა დანაშაულში, უმოქმედობა, კონკურენცია), მერიდიანი, თბილისი, გვ. 286.

12 *იქვე.*

13 ტურავა მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, მერიდიანი, თბილისი გვ. 276.

ცხლის მოსპობა, გამოხატული უმოქმედობით. ამის საპირისპიროდ თუ დედა შეგნებულად არ აჭმევს შვილს იმიტომ რომ ეზარება მისი მოვლა და სურს დაიღუპოს, ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა. დანაშაულის სტადიის მიხედვით შესაძლოა სახეზე იყოს როგორც დასრულებული ისე დაუმთავრებელი დანაშაული. ასევე დედის მაგალითზე, თუ დედა შეგნებულად არ აჭმევს ჩვილს მაგრამ ამის თაობაზე შეიტყობს ბავშვის მამა და დროულად აღკვეთს დედის ქმედებას, დედის მხრიდან სახეზე გვექნება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა.[14] ამ შემთხვევაშიც შესაძლოა გვქონდეს საქმე თანამონაწილეობასთან ან/და თანაამსრულებლობასთან, მაგალითად, თუ დედას ეზარება ბავშვის მოვლა და მეგობარი მას ურჩევს არ აჭამოს რათა ბავშვი დაიღუპოს, მეგობრის მხრიდან სახეზე გვექნება მკვლელობაში თანამონაწილეობა, ხოლო დედის მხრიდან უშუალო ამსრულებლობა[15]. ანალოგიურად თუ დედა და მამა გადაწყვეტენ რომ ბავშვის მოშორების მიზნით არ აჭამონ მას, სახეზე გვექნება ჯგუფურად (თანაამსრულებლობით) ჩადენილი განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

ამდენად, ცალსახაა, რომ უმოქმედობით ჩადენილი დანაშაული შეიძლება იყოს როგორც განზრახი ისე გაუფრთხილებელი, დამთავრებული ან დაუმთავრებელი და მისი ჩადენა შესაძლებელია ინდივიდუალურად, ჯგუფურად ან სულაც თანამონაწილეობით.

პრაქტიკაში შესაძლებელია რთული გახდეს იმის გარკვევა მოქმედებით არის ჩადენილი დანაშაული თუ უმოქმედობით. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი ასეთი შემთხვევაა განხილული. ერთ ერთი ასეთია პირის გადარჩენისათვის ხელის შეშლა. მაგალითად, პირს მოსდევს მოსაკლავად ნასვამი ადამიანი, გადარჩენის მიზნით დაზარალებული ცდილობს შეეფაროს ერთ ერთი კორპუსის სადარბაზოს. ამ დროს კი მას კარს უკეტავს მეზობელი. მიუხედავად შემთხვევის პრობლემურობისა ვფიქრობთ ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მოქმედებით ჩადენილი დანაშაული.[16] მსგავსი შემთხვევაა როდესაც პირი ხელს უშლის მეორე პირს ადამიანის გადარჩენაში. მაგალითად, სანაპიროს მაშველი ცდილობს ბ-ს გადარჩენას. გ მას წინ ეღობება და ხელს უშლის, შედეგად ბ იღუპება. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს აქტიურ მოქმედებასთან და გ უნდა დაისაჯოს მოქმედებით ჩადენილი განზრახი დანაშაულისთვის. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის შემთხვევები როდესაც პირი გადაიფიქრებს მსხვერპლის გადარჩენას. მაგალითად, სკოლის დარაჯი ხედავს რომ სკოლის ეზოში არსებულ ტბაში მოსწავლე იხრჩობა ის მიდის მოსწავლის ამოსაყვანად, ამ დროს აღმოაჩენს რომ ბავშვი ფიზიკის მასწავლებლის შვილია, რომელთანაც მას ცუდი ურთიერთობა აქვს. ამიტომ დარაჯი ხელს უშვებს ბავშვს და ბავშვი იღუპება. ამ შემთხვევის შეფასებისას ვფიქრობთ დიდი მნიშვნელობა აქვს დარაჯის მიერ დახმარების შეწყვეტის მომენტს. თუ დარაჯს არც კი გაუწვდია ხელი მოსწავლისთვის და ისე დატოვა იქაურობა, მაშინ საქმე გვექნება უმოქმედობით ჩადენილ განზრახ დანაშაულთან, ხოლო თუ დარაჯმა უკვე გაწვდილი ხელი გაუშვა მოსწავლეს, სახეზე გვექნება მოქმედებით ჩადენილი განზრახი დანაშაული.

ვინაიდან, შერეული უმოქმედობის დელიქტის ერთ ერთი მთავარი მახასიათებელია ამსრულებლის, სამართლებრივი გარანტის სტატუსი, ერთი და იგივე ქმედებას შესაძლოა სრულიად სხვადასხვა სამართლებრივი შეფასება მიეცეს. მაგალითად, მაღაზიაში პურის საყიდლად ჩასულ ირაკლის, გზაში ხვდება უცნობი რომელსაც ბრმა ნაწლავის შეტევა აქვს და სასწრაფო დახმარებას საჭიროებს, ირაკლის ეჩქარება და ისე აგრძელებს გზას თითქოს არც კი დაუნახავს უცნობი. სახეზე გვექნება დაუხმარებლობა. ამ შემთხვევაში, უცნობი ადამიანის ნაცვლად ირაკლის მეუღლე რომ ყოფილიყო, ქმედება დაკვალიფიცირდებოდა როგორც უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დანაშაული. აღნიშნული საკითხი საკმაოდ კარგად არის დამუშავებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამიტომ ჩვენ აღარ შევეხებით მისი გამოვლინების სხვა ფორმებს.

საინტერესოა ალბათ, მაშინ როდესაც სისხლის სამართალი ქმედებათა სამართალია რატომ გახდა საჭირო უმოქმედობის ცალკეული ფორმების დანაშაულად გამოცხადება. საქმე იმაშია რომ სისხლის სამართლის მიზნებიდან გამომდინარე, დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და საზოგადოებაში შესაბამისი წესრიგის შენარჩუნებისთვის საკმარისი არ

14 მჭედლიშვილი ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები (დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თანამონაწილეობა დანაშაულში, უმოქმედობა, კონკურენცია), მერიდიანი, თბილისი, გვ. 283-284.

15 *იქვე.*

16 Schonke/Schroder-Stree, vor §13/Rn.159.

არის ცალკეული ქმედებების აკრძალვა, აუცილებელია ამ ქმედებების განხორციელების ხელის შეშლისათვის შესაბამისი ინსტურმენტების შექმნა და სწორედ ეს გახლავთ უმოქმედობის შემადგენლობების არსებობის მთავარი საზრისი. მართლწესრიგის შენარჩუნება შეუძლებელია სამართლებრივი სიკეთის დაზიანების პრევენციის გარეშე და ამ პრევენციის ნაწილია ისიც რომ ცალკეულ შემთხვევებში პირი ვალდებულია იმოქმედოს. ძალზე საინტერესო პრაქტიკა აქვს ამ მხრივ ინგლისურ ამერიკულ სამართალს. ეს წესები, ხშირად „კეთილი სამარიტელის" წესების სახელით მოიხსენიება ინგლისურ ამერიკულ სამართალში.[17] ქართული სამართლის მსგავსად, ინგლისურ ამერიკულ სამართალშიც ცნობილია შერეული უმოქმედობის დასჯადობა, მაშინ როდესაც პირს მოქმედების პირდაპირი, სპეციალური ვალდებულება ჰქონდა. იურიდიულ ლიტერატურაში სპეციალური ვალდებულება მოიხსენიება ფრაზით: „სპეციალური ურთიერთობა". საუბარია ურთიერთობაზე რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს:

- ნათესაური კავშირიდან (მშობლებისა და შვილებს შორის ან ცოლ-ქმარს შორის არსებული სპეციალური ურთიერთობა);
- შრომითი ურთიერთობებიდან (დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული ურთიერთობა);
- პროფესიული მდგომარეობიდან (ექიმსა და პაციენტს შორის, მაშველსა და სანაპიროზე მყოფ პირებს შორის არსებული სპეციალური ურთიერთობა);
- სახელშეკრულებო ურთიერთობიდან (ძიძასა და აღსაზრდელს შორის არსებული ურთიერთობა).

სწორედ ზემოთ აღწერილ სპეციალური ურთიერთობებია ინგლისური სამართლისთვის სამართლებრივი გარანტის სტატუსის წინაპირობა და მხოლოდ სამართლებრივი გარანტის მიერ ჩადენილი უმოქმედობაა ინგლისური სამართლისთვის დანაშაული. კონტინენტური ევროპის ქვეყნების საპირისპიროდ ამ სამართლებრივ სისტემაში, დახმარების ზოგადი ვალდებულება არ არსებობს. არავინ არის ვალდებულია მიეშველოს განსაცდელში მყოფ უცნობ ადამიანს. ამ ტიპის მოვალეობა არ არის დეკლარირებული არც ერთი დანაწესით, მაშინაც კი როდესაც პირს აქვს მოქმედების შესაძლებლობა.

ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო მსჯელობას ავითარებს და სწორედ სამართლებრივი გარანტის სტატუსს უსვამს ხაზს ინგლისელი პოლიტიკოსი, თომას ბებინგთონ მაქალი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ინდოეთის სისხლის სამართლის კოდექსის შექმნა. ის აღნიშნავს: „ძნელი წარმოსადგენია რომ ქირურგი რომელმაც უარი თქვა კალკუტადან მერუთში წასვლაზე, რთული ქირურგიული ოპერაციის შესასრულებლად არის მკვლელი, თუმცა ისიც აღსანიშნავია რომ ის იყო ერთადერთი ადამიანი ვისაც ამ ოპერაციის შესრულება შეეძლო და მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადამიანი დაიღუპებოდა."[18] მაშასადამე, მაქალი ცალსახად სამართლებრივი გარანტის არსებობის შემთხვევაში მიიჩნევს უმოქმედობას დანაშაულად ე.ი. ის აღიარებს მხოლოდ შერეული უმოქმედობის დასჯადობას. საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ის ქმედებების რამდენიმე ვერსიასაც გვთავაზობს: „ა" „ბ"-ს აძლევს საკვებს, რომლის მიღების შედეგადაც „ბ" იღუპება. დანაშაული სახეზე გვაქვს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- თუ „ა" არის ციხის ზედამხედველი სადაც „ბ" იხდის სასჯელს და „ა"-ს პირდაპირი ფუნქციაა „ბ"-ს გამოკვება;
- თუ „ა" არის „ბ"-ს მცირეწლოვანი შვილი;
- „ა" არის ინვალიდი და „ბ" არის მისი მომვლელი;

შესაბამისად, დანაშაული არ იქნება თუ „ბ" „ა"-სგან მოითხოვდა შემწეობას და ეს უკანასკნელი წმინდა ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე დაეხმარა მას.[19] ლიტერატურაში მოყვანილია კიდევ ერთი მაგალითო: ა-ს არის მინიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ ტურისტების დასვენების ზონებში გამწესებული ზედამხედველი და მისი მოვალეობაა გააფრთხილოს ტურისტები შესაძლო საფრთხეზე. ის დროულად არ აფრთხილებს ტურისტს იმის შესახებ რომ წვიმის გამო მდინარეში შესვლა საშიშია, შედეგად ტურისტი იღუპება. ამ შემთხვევაშიც ინგლისური სამართლით სახეზე გვექნება დანაშაულებრივი უმოქმედობა. მაშასადამე, ინგლსურ ამერიკული სამართლით უმოქმედობა დასჯადია მხოლოდ მაშინ როდესაც მსხვერპლსა და ამსრულებელს შორის არსებობს სპეციალური ურთიერთობა, ეს ურთიერთობა, კი როგორც წესი, ემყარება პროფესიულ სტატუსს, საოჯახო, სახელშეკრულებო, შრომით ან სხვა ტიპის სპეცალურ კავშირს.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქცენტირებულია დამსაქმებელთა ვალდებულება დასაქმებუ-

17 Freeman S., 2005. Criminal liability and the duty to aid distressed, University of Pennsylvania law review, Vol. 142, p. 1455.

18 *იქვე*, P. 1458.

19 *იქვე*, P. 1994.

ლთა მიმართ, ეს საკითხი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საერთოდ არ გვხდება, რეალურად კი ბოლო პერიოდში დაგროვილი საკმაოდ უსიამოვნო გამოცდილებიდან ძალზე მწვავედ დგას აღნიშნული საკითხი. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ამერიკული სამართალი არ იცნობს მოქმედების ზოგად ვალდებულებას, ის არ ავალდებულებს ადამიანებს დაეხმარონ განსაცდელში მყოფ უცნობ პირებს, შესაბამისად ისეთი ქმედება როგორიცაა არის სსკ-ის 129 მუხლით გათვალისწინებული დაუხმარებლობა უცნობია საერთო სამართლის ქვეყნებისთვის. აღნიშნულ პოზიციას ინგლისურ სამართალში მოწინააღმდეგეებიც ყავს. ამერიკელი პროფესორი მაიკლ მური, რომელსაც არაერთი სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის სისხლის სამართლის თეორიის სფეროში ბოლომდე არ ეთანხმება „სპეციალური ურთიერთობის“ არგუმენტს. თუმცა ის არ ავითარებს ცალსახა პოზიციას საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტისთვის. მისთვის არ არის მნიშვნელობანი სპეციალური ურთიერთობა ამსრულებელსა და მსხვერპლს შორის, მისთვის მთავარია სამართლებრივად გასაკიცხი ქმედების შინაარსი, ის რომ ექსტრემალურ სიტუაციაში, კონკრეტული მოქმედება გადაარჩენდა სამართლებრივ სიკეთეს. მაიკლ მური ავითარებს მსჯელობას პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებათა შესახებ. ნეგატიურ ვალდებულებათა იდეაა ყოველი პირის ვალდებულება თავისი მოქმედებით არ გააუაროსოს სამყარო, მაშინ როდესაც პოზიტიურ ვალდებულებათა იდეაა შეცვალოს სამყარო უკეთესობისაკენ. ის აღნიშნავს რომ როდესაც პირი ადამინს კლავს, ამით უფრო დიდ ბოროტებას სჩადის ვიდრე მაშინ როდესაც ხელს არ უშლის ადამიანს სიკვდილში. მაგალითად, ბიძა რომელიც უფლებას აძლევს და ხელს არ უშლის ძმის შვილს აუზში დახრჩობაში და ბიძა რომელიც შეგნებულად ახრჩობს აუზში ძმიშვილს სხვადასხვა სიმძიმის გასაკიცხაობს სჩადის და ამ გასაკიცხაობებს შორის მეორე შემთხვევა უფრო მეტად იმსახურებს სასჯელს ვიდრე პირველი. [20] ინგლისური სამართლის ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით რომ ეს სამართალი არ მოითხოვს ადამიანებისაგან სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლას, სამართალი მოითხოვს სულ მინიმუმს ადამიანებისაგან – არ შეცვალონ სამყარო უარესობისკენ. ინგლისური დოქტრინის მსგავსად, ამერიკის სამართლებრივი სისტემაც არ იცნობს განსაცდელში მყოფი უცნობი პირისთვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ვალდებულებას, თუმცა ცალკეულ შტატებში მაინც გვხვდება განსხვავებული მიდგომა. მაგალითად, კალიფორნიის, ფლორიდის, ჰავაის, მასაჩუსეტის, მინესოტას, ოჰაიოს, როდ აილენდის, ვაშინგტონის და ვისკინსინის შტატებში, ასეთი ვალდებულება ძალაშია.[21]

საკითხის შეჯამების თვალსაზრისით უნდა ითქვას რომ სრულიად განსხვავებულია კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების მიდგომა. რომანულ გერმანული სამართლის ქვეყნებში ისევე როგორც საქართველოში დასჯადია უმოქმედობის ორივე ფორმა. ხოლო საერთო სამართლის ქვეყნები ძირითადად სჯიან მხოლოდ შერეულ უმოქმედობას. იმ ფონზე როდესაც სისხლის სამართლის ნორმათა მთავარი მიზანია დანაშაულის თავიდან აცილება, ვფიქრობთ უმოქმედობის ორივე ფორმის დასჯადობა პირდაპირ ეხმიანება სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან აცილებისა და შესაბამისად სისხლის სამართლის მიზნებს.

საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით აუცილებელია მიმოვიხლოთ სასამართლო პრაქტიკა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2003 წლის ოქტომბერში განიხილა ერთ ერთი სისხლის სამართლის საქმე სადაც წარმოდგენილია ძალზე საინტერესო მსჯელობა ამ საკითხზე. 2001 წლის 5 მარტს, ბ. ყ-ს. კუთვნილი სატვირთო სამგზავრო ავტობუსით გადაყავდა მგზავრები ახალქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე. მგზავრებს დაახლოებით 11 ტონა კარტოფილი მიჰქონდათ რუსთავის ბაზრობაზე. ასპინძაში მგზავრებს შეურთდათ კიდევ ერთი ადამიანი ქ.ს. მან მგზავრებთან ერთად დალია რამდენიმე ჭიქა არაყი და გვიან, 23 საათსა და 15 წუთზე, სოფელ იდუმალას გადასახვევთან ჩავიდა. იმ მომენტში როდესაც ქ.ს. ჩადიოდა ავტობუსიდან, მძღოლმა ყურადღება არ გამოიჩინა და ნაადრევად დაძრა ავტობუსი, რის გამოც საბურავებით მარჯვენა ფეხზე გადაუარა ქ.ს. მძღოლი მაშივნე მიხვდა თავის შეცდომას, გააჩერა ავტობუსი, მხრებში მოკიდა ხელი ქ.ს. და გადაიყვანა მოშორებით, მგზავრების მოსაცდელ სივრცეში. ამის შემდეგ ის ტოვებს დაზიანებულ მგზავრს და განაგრძობს გზას. პირის გადაყვანაში მძღოლს ეხმარება მისივე ძმა ვ.ყ. 20 წუთის შემდეგ ქ.ს-ს მდგომარეობა უარესდება, ის უკვე მომაკვადავია და მას პოულობს მისივე თანასოფლელი გ.ა. რომელიც უხმობს სხვებს დასახმარებლად და პირი გა-

20 *იქვე*, P. 1996.

21 Peterson M., at Carrington, Coleman, Sloman & Sloman & Blumenthal LLP, Good Samaritan Laws, A comparative study of laws that protect first responders with assist accident victims, p. 5.

დაყავთ ასპინძის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც მიუხედავად სამედიცინო პერსონალის დახმარებისა პირი იღუპება. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა, 276ე მუხლის მე-5 ნაწილითა და სსკ 128 მუხლით, როგორც განსაცდელში მიტოვება. საკასაციო საჩივრით დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი ითხოვდა რომ ბ.ყ-ს ქმედება დაკვალიფიცრებულიყო სსკ 276 მუხლის მე-3 ნაწილით (ა.რ საშუალების მართვის წესების დარღვევა რასაც შედეგად მოყვა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) და უმოქმედობით ჩადენილი განზრახ მკვლელობით. კასატორი მიიჩნევდა რომ პირის მიერ განხორციელდა არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობა და ითხოვდა უშუალოდ სიკვდილის ნაწილში საქმეზე ჩატარებულიყო დამატებითი გამოძიება. ამის საპირისპიროდ, მსჯავრდებულის ადვოკატი მიიჩნევდა რომ ბ.ყ. სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა და ამიტომ გამოირიცხებოდა უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობა.[22]

უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა, დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის პოზიცია და ქმედების ერთი ეპიზოდი მართლაც დააკვალიფიცირა 276 – ე მუხლის მესამე ნაწილით ხოლო მეორე ეპიზოდის მსჯავრდება სსკ 128 მუხლის ნაწილში გააუქმა, და დააბრუნა საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

- საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული რომ 2001 წლის 5 მარტს მგზავრის ჩასვლისას მძღოლმა დაარღვია ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის წესები და ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა მგზავრს;
- მძღოლმა დაინახა დაზიანებული მგზავრი, აღიქვა საკუთარი ქმედების მიზეზ შედეგობრიობა და მოშორებით გადაიყვანა შეუძლოდ მყოფი დაზარალებული;
- მძღოლმა ყოველგვარი დახმარების გარეშე, მიატოვა მგზავრი და თავად გზა განაგრძო.

უზენაესი სასამართლო საქმის განხილვისას დაეყრდნო შემდეგ სამართლებრივ არგუმენტაციას:

- მძღოლმა დაარღვია ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის წესები, რის შედეგადაც გარდაიცვალა მგზავრი;
- მძღოლმა აღიქვა და გააცნობიერა რომ მან ფეხზე გადაუარა ბ.ყ-ს, გააცნობიერა ისიც, რომ ეს პირი ამის გამო იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, ითვალისწინებდა იმას, რომ პირი მოკლებული იყო შესაძლებლობას გადაერჩინა თავი, ასევე იცოდა, რომ მგზავრს შეზღუდული ჰქონდა გადაადგილების შესაძლებლობა ფეხის ტრამვის გამო;
- მგზავრისთვის დაზიანების მიყენების მომენტიდან, ბ.ყ.-ს წარმოეშვა მგზავრზე ზრუნვის ვალდებულება – შეიძინა სამართლებრივი გარანტის სტატუსი;
- სამართლებრივი ვალდებულების წარმოშობის მიუხედავად, მძღოლი არ დაეხმარა მგზავრს, გადაიყვანა ის შემთხვევის ადგილიდან მოშორებით და მიატოვა უმწეო მდგომარეობაში, ყოველგვარი დახმარების გარეშე.[23]
- უზენაესმა სასამართლომ საერთოდ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს პოზიცია განსაცდელში მიტოვებასთან დაკავშირებით, რადგან მიიჩნია რომ ვინაიდან მძღოლმა დაარღვია ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის წესები, რის შედეგადაც დადგა მძიმე შედეგი, იკვეთება მიზეზობრიობის სამი ძირითადი პირობა. იმ მომენტში როდესაც ბ.ყ. დაეჯახა და დააზიანა მგზავრი, მძღოლს წარმოეშვა მოქმედების სამართლებრივი მოვალეობა, ე.წ. სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, მან თავისი მოქმედებით ჩააყენა პირი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში რის გამოც მასვე ევალებოდა შესაბამისი ზომების მიღება პირის დასახმარებლად.

მაშასადამე უზენაესმა სასამართლომ შეცვალა ქმედების კვალიფიკაცია 276-ე მუხლთან მიმართებაში და გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სსკ-ის 128 მუხლთან მიმართებაში. უზენაესმა სასამართლომ დამატებით გამოძიებაში დააბრუნა საქმე და გამოძიებაში დაბრუნების მთავარ მიზნად მიუთითა:

- იმის გარკვევა რამდენად ჰქონდა მძღოლს პირის დახმარების შესაძლებლობა და ასეთი დახმარების შემთხვევაში იქნებოდა თუ არა შესაძლებელი სასიკვდილო შედეგის თავიდან აცილება;
- მძღოლის სუბიექტური დამოკიდებულების გარკვევა – უშვებდა თუ არა იმის შესაძლებლობას რომ მის მიერ სავალდებულო

22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, შემადგენლობა: ტურავა მ. ლალიაშვილი თ. გოგელია მ. 2003 წლის 16 ოქტომბრის განჩინება №216-აპ, გვ 1-2

23 *იქვე*, გვ. 4-5.

და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. სასამართლო უთითებს რომ ამის გასარკვევად გათვალისწინებულ უნდა იქნას მგზავრის დატოვების დრო, ადგილი, გარემოებები და მისი მდგომარეობა.[24]

ძნელია არ დავეთანხმოთ უზენაესი სასამართლოს პოზიციას. პირველ რიგში ვერ დავეთანხმებით სააპელაციო სასამართლოს მიდგომას აღნიშნული ქმედების განსაცდელში მიტოვებით დაკვალიფიცირების თაობაზე. მაშინ როდესაც პირის განსაცდელში ჩაგდება განპირობებულია ამსრულებლის წინარე მოქმედებებით ყოველთვის უნდა შემოწმდეს უმოქმედობის მიზეზობრიობის პირობები. სამართლებრივი გარანტის ფუნქცია შეიძლება წარმოიშვას პირის წინა მოქმედებებიდანაც. შესაბამისად, მოცემული ქმედება მკვეთრად გასცდა განსაცდელში მიტოვების ფარგლებს და განზრახ დანაშაულში გადაიზარდა. უზენაესი სასამართლოსთვის, უმოქმედობის შეფასების ამოსავალი გახდა სსკ-ის 8 მუხლი, სასამართლო პირდაპირ აპელირებს უმოქმედობის მიზეზობრიობის სამ პირობაზე, კერძოდ:

1. პირს ეკისრება მოქმედების სპეციალური მოვალეობა: საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ამსრულებელი გახლდათ მძღოლი, რომელიც მართავდა ავტობუსს, მან დაარღვია ტრანსპორტის უსაფრთხოების წესები, ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა დაზარალებულს რის შედეგადაც თავისივე წინა მოქმედებიდან წარმოეშვა მოქმედების სპეციალური ვალდებულა – გახდა სამართლებრივი გარანტი დაზარალებულისთვის
2. მძღოლს ჰქონდა მოქმედების შესაძლებლობა: აღნიშნული საკითხი დამატებითი ძიების საგანად მიიჩნია სასამართლომ მაგრამ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ცხადი ხდება რომ მძღოლმა გააცნობიერა მგზავრის მდგომარეობა, მოშორებით გადაიყვანა და საქმეში არ არსებობს რაიმე გარემოება რომელიც მიუთითებს რომ მას შეზღუდული ჰქონდა მოქმედება, არ შეეძლო დახმარება
3. მძღოლის მოქმედებით მძიმე შედეგი თავიდან აცილებული იქნებოდა: ეს საკითხიც დამატებით ძიების საგნად მიიჩნია სასამართლომ თუმცაღა, ამ საკითხის ძიების შედეგების მიუხედავად მაშინაც კი თუ აღმოჩნდებოდა რომ მგზავრი ვერ გადარჩებოდა მაინც გვექნებოდა შერეული უმოქმედობა ცხადია დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციით – ე.ი. უმოქმედობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა.

საინტერესო საკითხი იქნება რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში მძღოლს რომ სატრანსპორტო მოძრაობის წესები არ დაერღვია, სასამართლოს იმდენად ხშირად აქვს ხაზგასმული მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა, ვფიქრობთ უმოქმედობის მიზეზობრიობის კვალიფიკაციისას ესეც საკვანძო საკითხია – არა ყველა ტიპის წინა მოქმედება წარმოშობს სამართლებრივი გარანტის სტატუსს არამედ მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. მიუხედავად, სასამართლოს მიერ საკითხზე ხშირი აპელირებისა, მიგვაჩნია რომ წინა ქმედების მართლწინააღმდეგობას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

არანაკლებ პრობლემატური საკითხია აღნიშნული საქმის კიდევ ერთი ფიგურანტი – მძღოლის ძმა რომელიც ეხმარება მგზავრის მოშორებით გადაყვანაში, აღნიშნული ქმედების უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დანაშაულად კვალიფიკაციის შემთხვევაში ცხადია დადგებოდა ამ პირის დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხი. თანაამსრულებლობა ამ შემთხვევაში გამორიცხულია რადგან მძღოლი მოცემულ შემთხვევაში სპეციალურ სუბიექტია.

დასასრულს გვუსრს ავღნიშნოთ რომ დანაშაულებრივი უმოქმედობა ერთ ერთი ყველაზე სადაო და პრობლემატური ინსტიტუტია სისხლის სამართალში. ადამიანური ქცევის მრავალფეროვნებიდა გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ძალზე რთული ხდება პრობლემატური შემთხვევების ცალსახა კვალიფიკაცია, ვფიქრობთ ამ სფეროში გადამწვეტი სიტყვა სწორედ სასამართლო პრაქტიკას ეკუთვნის. წინამდებარე კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი საქმე ერთადერთი საქმეა უზენაესი სასმაართლოს პრაქტიკაში სადაც სასამართლო დეტალურად მსჯელობს უმოქმედობის მიზეზობრიობაზე. ცხადია ეს სრულებით არ ნიშნავს იმას რომ ამ სფეროში პრაქტიკა არ არსებობს. პრაქტიკა საკმაოდ მრავალფეროვანია პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში, უზენაესი სასამართლოს პოზიცია კი ამ კუთხით ცხადია ნორმის ინტერპრეტაციის ყველაზე კვალიფიციური საშუალებაა და ამის გამო ძალზე მნიშვნელოვანია.

24 *იქვე*, გვ. 5.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
2. Samaha J., 2017. Criminal law, United States of America.
3. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., 2011. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,(წიგნი I), მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი.
4. Ashworth A. Horder J., 2017. Principles of criminal law, Seventh edition, Oxford.
5. Bentham J., 2011. An introduction to the principles of morals and legislation. Bottom of the Hill Publishing, NY.
6. Bentham J., 2011. Of the Limits of the Penal Branch of Jurisprudence. Bottom of the Hill Publishing, NY.
7. Beccaria C., 2013. An Essey on crimes and punishment. TheClassics.us.